## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

№ 16/601-17 „27" 02 2017 წ

შპს „ჰორიზონტს"

**შეტყობინება**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2017 წლის 16 მარტს 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა, სადაც განიხილება **შპს „ჰორიზონტის"** ავტორიზაციის შეჩერების საკითხი.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19$^{1}$ მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს ავტორიზაცია საკუთარი ინიციატივით, თუ ავტორიზებული პირი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ერთობლივად:

ა) არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას;

ბ) არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებებს ან წარუდგენს ნულოვან გაანგარიშებას;

გ) არ იხდის რეგულირების საფასურს;

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

**დანართი:** სამსახურებრივი ბარათი - 2 ფურც.

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის თავმჯდომარე

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის
სპეციალისტს ქალბატონ თამარ გოშუას

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის
ნათია დევდარიანის

**სამსახურებრივი ბარათი**

ქალბატონო თამარ,

თქვენი მ/წლის 25 იანვრის №შ-10/750-17 სამსახურებრივ ბარათთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შპს „ჰორიზონტს" (ს/კ-445471451) კომისიაში არ წარმოუდგენია რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშებები ავტორიზაციის მიღების დღიდან (ავტორიზაციის თარიღი: 29/12/2015) დღემდე და არც რეგულირების საფასურის ჩარიცხვა განუხორციელებია კომისიის ანგარიშზე.

პატივისცემით,

ნათია დევდარიანი

შემოსულია №შ-10/824-17
"26" 01 2017

კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის

უფროსის მოვალეობის შემსრულებელს

ბ-ნ პავლე ბერიას

კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების

რეგულირების დეპარტამენტის მონიტორინგის უზრუნველყოფის

მთავარი სპეციალისტის მარიამ აროშიძის

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო პავლე,

თქვენი სამსახურებრივი ბარათების (მ- 10/910-17; მ-10/912-17) პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „მოგზაურობის დრო" და შპს „ჰორიზონტი" არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას.

ასევე დამატებით გაცნობებთ, რომ კომპანიის წარმომადგენლებთან შედგა კომუნიკაცია, რომლის დროსაც შპს „მოგზაურობის დრო"-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში კომპანია კომისიას მიმართავს ავტორიზაციის გაუქმების მოთხოვნით, რაც შეეხება შპს „ჰორიზონტი"-ს, კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით კომპანია ასევე უახლოეს დღეებში მომართავს კომისიას ავტორიზაციის დროებით შეჩერების მოთხოვნით.

პატივისცემით,

მარიამ აროშიძე

№10/1055.17
03.02.17
1+1